გაიმართა სსკგ-ის თავმჯდომარის შეხვედრა ყაზახეთის ელჩთან რუსეთში



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.08.2022. 29 აგვისტოს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაში შედგა სსკგ-ის თავმჯდომირის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის შეხვედრა რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკა ყაზახეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ე.ბ. კოშერბაევთან.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკა ყაზახეთის საელჩოს მრჩევლებმა ა.ი. ნურბეკოვმა, ე.ა. ჩირკოვმა და დ.ბ. ჟელდიბაევმა.

სსკგ-ის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ შორეული საზღვარგარეთის საქმეთა მდივანი დეკანოზი სერგი ზვონარიოვი და რელიგიათა შორის ურთიერთობათა მდივანი მღვდელი დიმიტრი საფონოვი.

მხრეებმა განიხილეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკელსიის მონაწილეობის მზადება მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერების VII ყრილობისთვის, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია 2022 წლის 14-15 სექტემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ნურ-სულთანში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89572/